



# ყვარლის

გამოცემის 1932 წლიდან

წასი 40 თეთრი



## ახალსოფელში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა დაიწყო

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მიმდინარეობს „საზოგადოებრივი ცენტრის“ მშენებლობა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვანო მამულაშვილმა, მერის მოადგილემ გივი ზაუტაშვილმა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ნინო ხუციშვილმა, „იურიდიული საქითხა“ კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ კაპანაძემ, ახალსოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ასისტიშვილმა, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელმა მალხაზ მარტიაშვილმა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონიტორინგის მთავარმა სპეციალისტმა ლაშა აბაშიძემ დაათვალიერეს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს – „ელექ-

ტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ „საზოგადოებრივი ცენტრი“ არის თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სივრცე. ცენტრში დასაქმებული არიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები. გამოყოფილია სპეციალური სივრცე სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობად. ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონცეფციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

„საზოგადოებრივი ცენტრის“ მშენებლობით, მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. აღსანიშნავია, რომ მშენებლობა დასრულდება 2018 წლის სექტემბერში. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 52 საზოგადოებრივი ცენტრი, წლის ბოლომდე 14 კიდევ გაიხსნება.



## ჭავჭავაძიანთი საგვარეულო ტაძრის მოქმედება 60 წლისაა

უამრავი მოლოცვა და თბილი სიტყვა ითქვა ყვარლის ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვრის, დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიძის მიმართ. მამა ბენიამინი არის ყვარლის მღვდელი, აქ დაბადებული და გაზრდილი. უმამო ბიჭს, ლამაზ ალნაგს და გამორჩეულად კეთილშობილს აღზრდას არ აკლებდა დედა – ქალბატონი თამარ ჩიხორლიძე, პროფესიით ფარმაცევტი. ასევე მის აღზრდაში დიდი როლი მიუძღვის დეიდაშვილს, უფლის მორწმუნეს, ქალბატონ ლამარა ირემავილს. სკოლის დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ზოგად ტექნიკური დისციპლინების

მასწავლებლის სპეციალობით. იმავე ინსტიტუტში პარალელურად დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის მეორადი ფაკულტეტი. დაბრუნდა სათაყვანებელ ყვარელში და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. პარალელურად მუშაობდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში ექსკურსიამძღვლად. იღებდა ჯგუფებს ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

მუზეუმში დაუმეგობრდა საუკეთესო პიროვნებას, პოეტს, მუზეუმის მაშინდელ დირექტორს ილი ბეროშვილს. ეს წლები მისთვის არის საუკეთესო წლები.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

## უხვედრა სარუსოს, თივისა და ჩანტლისყურის მოსახლეობასთან

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი და საქართველოს პარლამენტის, ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი სოფლების – სარუსოს, თივისა და ჩანტლისყურის მოსახლეობას შეხვდნენ და ისაუბრეს არსებულ პრობლემებზე, რომლებიც ძირითადად სასმელი წყლის, ჯანმრთელობის, სოციალური და ინფრასტრუქტურული მოწყობის მიმართულებით არსებულ საჭიროებებს უკავშირდებოდა. აღნიშნული პრობლემები შესაძლებლობის ფარგლებში დროულად იქნება მოგვარებული.



## დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილი „ილიას ტბაზე“ გალა-კონცერტით აღინიშნა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიებები მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა. ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში შეუერთდა.

ამ დღისადმი მიძღვნილი, ულამაზესი გალა-კონცერტი გაიმართა ყვარელში, „ილიას ტბაზე“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ყვარლის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები. ღონისძიებას უძღვებოდა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, პოეტი იზოლდა იოსებანი. კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლი „ანაბანა“ (ხელმძღვანელი მია მამულაშვილი), ანსამბლი „მელოდია“ (ხელმძღვანელი მედიკო გეგეჭკორი). ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალსოფელი“ (ხელმძღვანელი მარიეტა არჩუაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“ (ხელმძღვანელი ნინო ჩიხიაშვილი) და სხვა.


აქვე, წარმოდგენილი იყო ყვარელი მხატვრების და შემოქმედი ადამიანების მიერ შესრულებული ნახატების და ნივთების გამოფენა და მსურველებს შეეძლოთ ადგილობრივი წარმოების ღვინოების დაგემოვნება.

ღონისძიებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ ქალაქ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი როსტომ სესიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ვანო მამულაშვილი და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები.

ია გიგიაშვილი



## საქველმოქმედო კავშირმა ისტონელ პარტნიორებს უმასპინძლა



საქველმოქმედო კავშირ „გრემის თემის“ დაფუძნებიდან 26 წელიწადი გავიდა, მაგრამ ამ წინის განმავლობაში უამრავმა ადამიანმა მიიღო ყველა ის სიკეთე, რაც უნარშეზღუდული ბენეფიციარებისთვისაა საჭირო. კონკრეტულად თემში სწავლობენ სკოლის პროგრამით, ეუფლებიან საოჯახო საქმიანობას და შეძლებისდაგვარად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის პროექტების წარმოების პროცესში.

მესამე წელია, რაც კავშირი ბიოპროდუქტების წარმოებაზე გადასული. პესტიციდებისა და მინერალური სასუქების გამოყენების გარეშე, ბიოპროდუქტებითა და ორგანული სასუქებით მოჰყავთ ყურძენი, ხილი და ბოსტნეული. მართალია მოსავლიანობა სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ ნატურალური პროდუქტი ყველას მოსწონს და განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ვიზიტორებს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



### ჭავჭავაძიანთ საგვარეულო ტაძრის მოძღვარი 60 წლისაა

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

აქ გაიცნო სწორედ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაზრისო მამულიშვილი, პატრიოტი და ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე. ზურაბ ჭავჭავაძემ მასში დანახა წესიერება, სულიერი სისუფთავე და ღირსეული პიროვნება. ურჩია და სთხოვა დასდგომოდა უფლის გზას და გამხდარიყო ყვარლის მოძღვარი. ასევე სთხოვა ილი ბროშვილი, რომ გადაეცემოდა ეტვირთა ყვარლის სულიერი ცხოვრების ჯვარი. მართლაც უფლის ნებით და ოჯახის ხელშეწყობით 1990 წლის 28 აგვისტოს თბილისის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხელდასმული იქნა მოძღვრად. ამავე წლის 1 ნოემბრიდან განმსვენდა ყვარლის ჭავჭავაძიანთ ეკლესიის წინამძღვრად, სადაც დღემდე მოღვაწეობს. 2007 წელს რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით არჩიეს ყვარლის საპატრიარქო მოძღვრად. 1995 წელს ბოდბის დედათა მონასტერში პატრიარქის ლოცვა კურთხევით აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში.

მისი პოეზია, მისი ცხოვრება ეს ერთი დიდი გრძნობაა, სულიერებაა, დამოკიდებულება ცხოვრებასთან, სიჯანსაღესთან და რა თქმა უნდა ადამიანურობასთან. ყველასთვის საყვარელი მოძღვარი დღეს არის ასევე საყვარელი პოეტი. მას გამოცემული აქვს ორი წიგნი. პირველი წიგნი „გოგე ტაძარი“ – შესულია ლექსები და წერილები. მეორე წიგნი კი „ცა ჩემი სულის მისამართია“ – შესულია მხოლოდ ლექსები. ასევე გამოცემული აქვს ილია მართლის სავედრებელი პარაკლისი. რა თქმა უნდა მისი პოეზია ეძღვნება უფლისა და წმინდანების სახელსა და მათს დასახსნად და ოჯახის წევრებს. თემატიკა არის მგრძობიარე, სათუთი და გულში ჩამწვდომი. მისი თითოეული ლექსი მაღალი გრძნობისა და სიყვარულის გამოხატულებაა. არის „2014 წლის ელიტის პოეტი“-ს პრემიის, ასევე წმიდა ილია მართლის ჭავჭავაძის გაზეთ „ივერის“ სახელობის პრიზა-პოეზიის ეროვნული პრემიის გამარჯვებული და ილია ჭავჭავაძის ჯვრის მფლობელი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა მამა ბენიამინის 60 წლისთავი აღნიშნათ ღირსეულად. ის ხომ 2013 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მწერალთა კავშირში კი ფუნქციონირებს რელიგიური სექცია. დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ ემასპინძლათ პოეტებისთვის თბილისში. მან მოკრძალებით ითხოვა, რომ

მისი საოუბრო საღამო ჩატარებულიყო ყვარლში და თანაც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში. მართლაც ასე მოხდა.

20 მაისს მუზეუმის სააქტო დარბაზში თავი მოიყარა მამაოს მრევლმა, მეგობარმა მოძღვრებმა, დედაობებმა, მგალობლებმა, პოეტებმა, საზოგადოებაში, ვისთვისაც ძვირფასი და საამაყო დეკანოზი ბენიამინ ჩიხორიძევილი. ღონისძიებაზე ჩამოვიდნენ პოეტები, მწერლები. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტმა ბადათერ არაბულმა ოუბილე მიულოცა და მამა ბენიამინი დააჯილდოვა „ღვანულმოხილის“ დიპლომით. ასევე პოეტს და მოძღვარს მიულოცა ოუბილე თანათავმჯდომარე პოეტმა, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა. მისალოცი სიტყვა წარმოთქვა მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ ზურიაშვილმა. მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ყვარლელმა პოეტებმა, ქალბატონებმა: ნუნუ ლალიძემ, ლია გიგითაშვილმა, ნელი თედვიშვილმა და ელისო ბუშელაშვილმა. ღონისძიებაზე მისალოცი სიტყვით გამოვიდა ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ქალბატონი მაგალი სააკიშვილი. ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სახელით ოუბილე მიულოცა დასის ხელმძღვანელმა მაია ხეთისაურიშვილმა. ქალბატონმა მაგალიმ ნათელისმცემლის ეკლესიის მგალობლებთან ერთად უგალობა მამაოს. ეს დღე იყო შენაშენი და ამაღლებული. დასასრულს ოუბილარი წარსდგა საზოგადოების წინაშე საოცარი ლექსებით. მისი პოეზია არის სულიერი საზრდო ყველასთვის. იგი არის საინტერესო პოეტი, ღირსეული მეუღლე და მამა, პატარებისთვის კი საყვარელი და საამაყო პაპა. მართლაც რომ მისი სულის მისამართი ცაა. ცა, საიდანაც მოდის უფლის წყალობა და მაღლი. მაღლობა მინდა გადავუხადო მზარდაჭერისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს, ასევე კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს ქალბატონ მაია ზარდაშვილს. მაღლობა სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას მამა ბენიამინისადმი სიყვარულის და პატივისცემის გამოხატვისთვის.

#### მანანა შატავიძე

P.S. ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი მანანა შატავიძე.



## ჩვენ დავპრუნდებით!

უჩვეულო და განსაკუთრებული იყო 2018 წლის 5 მაისი ჩემთვის და ჩემი ჯგუფის აღსაზრდელებისთვის – დაუფინიარო დღე, როდესაც ბავშვებმა, პირველად მათ ცხოვრებაში, მოახყეს საქველმოქმედო ღონისძიება კავშირ „გრემის თემში“.

„გრემის თემში“ 10 წლის წინ შევაბიჯეთ პირველად მე და ჩემმა მოსწავლეებმა (ყვარლის II საშუალო სკოლის IV კლასი). წარუშლელი კვალი დატოვა მამინი იქ განცდილმა ემოციებმა და თემში მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა, რომლებიც ყოველდღე მოუთმენლად ელიან საჩუქრებით სავსე სტუმრებს. ასე იყო იმ დღესაც, როდესაც მათ პირველად ვესტუმრეთ. ვერც კი წარმოვიდგენდით, ასე თუ გაახარებდათ ჩვენთან შეხვედრა... იყო მათთან ერთად განცდილი სიხარული... იყო სინაზული... იყო ცრემლებიც... იმ დღეს პირობა დავდე საკუთარ თავთან, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი ამ საოცარ ადამიანებთან...

და აი, წლების შემდეგ, ახლა უკვე ბალის აღსაზრდელებთან (ყვარლის II ბავშვების 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი) მოვახყე საქველმოქმედო ექსკურსია „გრემის თემში“. ძალიან მიხდოდა ცხოვრების ახალ საფეხურზე აღმავალ პატარა სკოლამდელებს ჩემთან ერთად განცადათ ის ენით აუწერელი დიდი სიხარული, რომელსაც გაჭირვებულებისთვის დახმარება განგვაცდევინებს...

ბავშვებმა თავიანთი სურვილით და მშობლების დახმარებით შეაგროვეს საჩუქრები: ტკბილეულობა, სახატავები, ფანქრები, საღებავები, ფერადი ქაღალდები, ალბომები და სხვა...

შეუძლებელია, სიტყვით აღწერო ის სითბო, სიყვარული და თანაგრძობა, რაც ამ ციქუნა პატარებმა გამოხატეს და გადასცეს ჩვენს მასპინძლებს. გადაციციებით აკვირდებოდნენ და სწავ-

ლობდნენ თემში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს... თითქოს ცდილობდნენ, მათ თვალში ამოეკითხათ ის სიხარული თუ ტკივილი, რაც იმ დროს გულში უტრიალებდათ... ბევრი იმდღეს, იცეკვეს, ლექსები წარმოთქვენ, იხალისეს ბედნიერებით თვალებგაბრწყინებულ მასპინძლებთან ერთად. ვხედავდი როგორ ცდილობდნენ ჩემი პატარა ანგელოზები, გაეღამებინათ და დაუფინიარო სასწაულად ექციათ ის დღე „თემებისთვის“ და გული ისამაყით მეცხებოდა. თითქოს დიდი სიხარულიც ჩამესმოდა: „საქმი ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“...

ამბობენ, სიკეთე გადამდებოდა. ასე მოხდა მაისის იმ ღამეზე დღესაც. მინდა მადლობა გადავუხადო ყვარლის კულტურის განვითარების ცენტ-

რის ხელმძღვანელს და ჩემი აღსაზრდელის, მაიკო ბენდიანიშვილის ბებიას, მაია ზარდაშვილს ტრანსპორტით და სანავით უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ აღსაზრდელებთან ერთად სურვილი გამოთქვენ და თან გვახლდნენ: ყვარლის II ბავშვების კოორდინატორი ნ. ცისკარიშვილი, მეთოდისტი ი. ველიაშვილი, ფსიქოლოგი მ. კეკელიძე, ჩემი თანამემსვე ც. გიგოშვილი და მშობლები.

ამ საერთო ზეიმის მხაზველებმა, ახლა უკვე ყველამ ერთად დავდე პირობა – ჩვენ დავბრუნდებით „გრემის თემში“.

**ქაიხავაძე ბენდიანიშვილი-ქარანაშვილი, ყვარლის II ბავშვების 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელი**



## ყოველთვის გვხვდება

მიმდინარე წლის 21 მაისს ჩემმა ოჯახმა მოულოდნელი დარტყმა მიიღო. ჩემს ქალიშვილს და სიძეს მოუხდათ ავტოსაგზაო შემთხვევა, რამაც მათი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენა. ამას პროფესიონალურად გაუმკლავდა ყვარლის ჰოსპიტალის მედპერსონალი. მათ არ დაიშურეს ცოდნა, გამოცდილება და გულსიმბიერება, რათა გადაეჭრინათ ჩემი შვილი და სიძე. რაიონული საავადმყოფოს ექიმი-თერაპევტი, ქალბატონი ლალი ბურკიაშვილი მხარში ამოუდგა ტრავმული შენეებულ ჩემს მეუღლეს, რის გამოც განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო. უდიდესი პატივისცემა და მადლიერება მინდა გამოვხატო მთელი მედპერსონალის, ასევე ექიმი ქორუგების მიმართ. მათი დამსახურებით და უფლის წყალობით ჩემი შვილები ცოცხლები და სრულიად ჯანმრთელები არიან. უფალი გვაგარავდეთ, თქვენ დიდი იმედი ხართ თითოეული ყვარლისთვის. **ვაჟა და ინგა ცირიკაშვილები**

## უღირსობისა და უსირცხვილობის საუკუნე

შემოგვიტყვი და რა შემოგვიტყვი. თანაც რა ბევრი ყოფილან! წარმოადგენა არ მქონდა! გაცილებით ვარ ნარკომანიების ძალმომრეობით. ძლივს იფრთხილდნენ პოლიციელები. ნეტავ სარკეში არ იხედებინან? რას გვანან. რა ამაზრზენია მათი ქცევები და გარეგნობა. ესენი ყოველთვის მართლები როგორ არიან. როგორც კი რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, მაშინვე გამოუჩნდებოდა გულშემატკივრები და ამტყუებენ პოლიციელებს. თურეიდები არ მოეწყო, აბა, როგორ გამოვინდებოდა დამნაშავენი ნარკოტიკის გასაღებში. აქციებზე იმის მაგივრად, რომ ნარკომანებს მოუწოდებდნენ თავი დაანებონ ამ ბავშვ ჩვევას, იმკურნალონ და განიკურნონ, იბრძვიან მისი ეგალოზაციისთვის. თითქოს ძალიან უშიშნაო! სწორედ უნდა დაისაჯონ. მე არ ვამბო ხორცები დაავალიჯონ, ან დახოცონ, მაგრამ აკრძალვას უნდა ემორჩილებოდნენ.

„პრაიმოუს“ ერთ-ერთ გადაცემაში, ერთმა ახალგაზრდამ ასეთი სიტყვა თქვა: მე თავისუფალი პიროვნება ვარ, არაფერი საქმი არ არის, რას გავაკეთებ, მოვეწუ თუ არა მარბუანას, ჩემზე რე იძალადებენო. ტამით დაავალიჯოვს მას იმდენიც არ ესმის, რომ თავისუფლება იმას კი არ ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის მიუღებელი აკეთო. მე ასეთ ახალგაზრდებს ასე ვუპასუხებდი: თითოეული ადამიანი საზოგადოების ნაწილია, სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რასაც პატროსიანი, ღირსეული ადამიანები ქმნიან: აჭმევენ, ასმევენ... მათაც რომ შენსავით იფიქრონ, არ მოეწონოთ შენისთანა ადამიანების ქცევები, არ გასარგებლონ თავიანთი ჭაბუკითა და შრომით შექმნილი ფოვლათით, იარსებებდი? ე.ი. საჭიროა ერთმანეთისადმი ანგარიშის განევა. რას ჰქვია, შენს ნებაზე იცხოვრო და არაფის მიმართ არ იგრძნო პასუხისმგებლობა. მიიხარო, ცოცხალ მიცვალებულებს, რა სიკეთის მოტანა შეუძლიათ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოს ისტორია სისხლითა და ინტრიგებით იწერებოდა: „გიორგი სააკაძე“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „უქარქაშო ხმლები“, „გმირთა ვარაში“ და კიდევ სხვა მრავა-

ლი, ეს ის ნაწარმოებებია, სადაც კარგად ჩანს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორია. ეს წიგნებიდან უნდა იცოდნენ, მაგრამ კომპიუტერმა, ღამის გასართობმა კლუბებმა, ათასგვარმა საშობამ თამაშებმა, მოზარდებს წიგნი დაივიწყა. რომ არ გვეყვოდნენ თავგანწირული, მამაცი, აღმაშენებელი ადამიანები, არ გვექნებოდა: ხახული, ოპკი, ოპიზა, ვარძია, გელათი და სხვა. რომ არ გვეყოლოდნენ თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, მღვდელი თევდორე, ქეთევან წამებული, გიორგი სააკაძე და მრავალი სხვანი, იქნებ დღეს არც ვიცებოდი. არა მგონია, მათ ნარკოტიკით გაბრუნებული თავებით მოეტანათ დღემდე საქართველო.

პენსიონერი პედაგოგი ვარ და შეძრული ვარ იმით, რაც დღეს სკოლებში ხდება. ერთმანეთს არაფერს პატიობენ. დაპირისპირებასა და ერთმანეთის ხოცვაში არიან მოზარდები. ვიცით, ბავშვს ზრდის ოჯახი, სკოლა, ქუჩა, თეატრი, კინო და მრავალი სხვა, რაც მის გარშემოა. ბავშვის აღზრდა (და არა გაზრდა), უპირველეს ყოვლისა ოჯახში უნდა ხდებოდეს, მაგრამ ახლა, 21-ე საუკუნეში, რომელ ოჯახზე ლაპარაკი. საზღვარგარეთ ნასული დედები, ბებიების ანაბარად მიტოვებული ბავშვები, სმასა და გართობას გადაყვანილი მამები, დანგრეული ოჯახები... ქუჩის ბატონპატრონად ქცეული მოზარდები.

სატელევიზიო არხის ერთ-ერთი გადაცემის მონბე გავხდი. აღარ მახსოვს ვის მიჰყავდა გადაცემა (ტელენამყვენებს არ გულისხმობ). ბავშვებო, აბა, ახლა ილაპარაკეთ, როგორები არიან თქვენი მასწავლებლები, როგორ გექცევიან. მათ უფლებს არა ასეთ თქვენ დაგსაჯონ, უნდა ამხილოთ ისინი. დაახლოებით ასეთ შინაარსის საუბარი მიმდინარეობდა. მათაც დაინწყეს და რას არ ყვებოდნენ. მას შემდეგ მოდებ იქცა მასწავლებლები აუფად მოხსენიება. დაირღვა დისტანცია მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. შეპასუხება, გაკვეთილების გაცეცხა, სიზარმაცე, აი, მოსწავლეთა საეიზიკო ბარათი დღეს სკოლებში.

მასწავლებლებს კი ბოროტები დაადაეს. მათ უფლებს არა აქვთ, შენიშვნა მისცენ მოსწავლეს, თუ ის თავხედურად იქცევა. ცემაზე ხომ აღაპარაკე ზედმეტი. ჩემი აზრით, როგორც უნდა, უნდა დაკონკრეტდეს „ნესები მოსწავლეთათვის და მასწავლებლებისათვის“ და გაიკონს ყველა კლასში, სადაც დაფიქსირებული იქნება მათი უფლება-მოვალეობანი.

ნათქვამია: „წინა კაცი უკანას ხიდაო“. მამ, თუ ასეა, რატომ არ ფიქრობენ წინანი უკანების ხიდი და დასაყრდენი იყვენ: მთავრობაში, პარლამენტში იგინებინან და ცემა-ტყევა აქვთ გამართული, მოუშობი – ბილნსიტყვაობენ, დუდუკების ფონზე ქალბატონებს ამიშვებენ (ტატიშვილთან). სტუდიაში ხშირად სამჯერ და ოთხჯერ გათხოვილი ქალები მოჰყავთ და ისინი გვმოძღვრენ ოჯახის სინმინდესა და სიყვარულზე. ძალიან მომწონდა გადაცემა „ნიჭიერი“. გული სიხარულით მეცხებო, ამდენ ნიჭიერ ადამიანებს რომ ვხედავ. (იქნებ არ დავიკარგოთ)... მაგრამ აქც ჩამიშვებდა სიამოვნება, როცა ცენსაზე დავინახე ბრილიური ქათმის მსგავსი ტიტლიკანა ჩინელი. რაც არ უნდა გასაოცარი ნომერი შეესრულებინა, მინც ამისთანა სიმშველე, არა მგონია, მისალები იყოს, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ძლიერი ტამით დაავალიჯოვს და გენიოსიც უწოდეს.

როგორ ფიქრობთ: მოსაწონია ქალების ასე გამიშვება და მამაკაცების პირგაუპარაობა. კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება, რომელსაც შეუძლია ახალგაზრდებს უზნეობა ასწავლონ, მაგრამ ჩვენი ტელევიზიები ამაზე არ ფიქრობენ, თქვენ გმირები ხართ მასწავლებლებო, რომ ასეთ გარემოში, ასეთ ბავშვებთან იხედებით შრომი.

თუ რამე არ მომწონია, მაშინვე მომახლიან: განა ძველი დროაო. ნუთუ მართლა ძველ დროში ვარ ჩარჩენილი? რა ექნა, გული მტკივა და ეს წერილიც ამიტომ დავწერე, იქნებ ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის სასარგებლო გამოდგეს.

**მზია კუპარაშვილი-ოთიაშვილი**

# პიროვნული ღირებულებები შესაბამის გარემოში ყალიბდება

დღი ბიპლანი – საბუის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, სამართლიანი, ტაქტიანი და ყოველთვის განონსანსორებული ადამიანებთან ურთიერთობაში, ზოგჯერ ფიცხიც, მაგრამ მინც სამართლიანი. ქალი, რომელსაც XXI საუკუნეში ზოგჯერ სამართალი ვერ უპოვია, ჩვენი განათების არც თუ ისე ხშირი სტუმარი, საკმაოდ განათლებული პედაგოგი, – ასეთად დაგიხასიათებენ, ვინც მას კარგად იცნობს. გადავწყვიტეთ ამ სამართალუბოვნი ქალს შევხვედროდით და მისი გულსიტყვილი გამოვცეცნა სამსახურზე, გვესაუბრა სკოლაში თუ სკოლის გარეთ არსებულ სადღეისო პრობლემებზე.

– ქალბატონო დოლო, თქვენ საბუის ახალგაზრდა თაობის სწავლა-ღვრის საქმეში დიდი წვლილი გაქვით შეტანილი. რას გვეტყვი თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. რამდენი წელია, რაც ემსახურებით ამ საქმეს?

– პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო ჩემს მშობლიურ, შილდის პირველ საშუალო სკოლაში (მაშინ ასე ერქვა სკოლებს). 1968 წლიდან დღემდე ვმუშაობ საბუის საჯარო სკოლაში, ფიზიკის მასწავლებლად. ჩემი პედაგოგიური სტაჟი ნახევარი საუკუნეა აღემატება. ალბათ გაგიკვირდებათ, ამდენი წელი როგორ გავლიე სკოლაში. ახლა მეძლევა საშუალება, რომ სრულიად გულწრფელად ვუთხრა თქვენი განათების მკითხველებს, ჩემს ნამონაწერებს, მოსწავლეებს, რომ მათმა სიყვარულმა ყველა დაბრკოლება ადვილად გადამაღალხინა. დიხს, მათი უსაზღვრო სიყვარული მმაცბებდა ძალას და ენერჯიას, რომ თავდაუპოვრად მეშუშავა. თუმცა, გარეგნულად არ ვიჩინებდი, რომ უზომოდ მიყვარდნენ, რათა ზედმეტად არ გათამამებულიყვნენ. მათთან მუშაობას და ურთიერთობას ისეთი ძალა აქვს, რომ ანდამატებით გიზრდებს. თუ ერთხელ შეხვედი გაკვეთილზე და შესძელი მშვიდი, სასიამოვნო, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ატმოსფეროს შექმნა, მერე გიჭირს მათთან განმორება. ყველაზე მთავარი სულ პირველი გაკვეთილია, შემოგვყურებენ გამოცდები თვალბრუნებით და თუ რასაც ვლიან ის ვერ მიიღეს, მერე კლასში დისციპლინის დამყარება ვეღარ შეძლებ, ასეთ გაკვეთილს კი გაკვეთილი არ ჰქვია, უნდა ნახვიდე სკოლიდან რომ არ ჩაადგე შენი ქვეყნის, მომავალი თაობის ცოცხალი. ბავშვები ხომ ჩვენი ზედნიერი მომავალია, ბავშვი ხომ ბუნების უმაღლესი ქმნილებაა, განა შეიძლება არ გიყვარდეს?

– რატომ აირჩიეთ ეს სპეციალობა, ბავშვობიდან თუ გიტაცებდათ და როგორ ჩამოყალიბდით ასეთ კარგ, განათლებულ ფიზიკოსად?

– ბავშვობაში სურვილი მქონდა იურისტი გავმხდარიყავი. სულ პატარა ბავშვი დედამ ნამოყვანა ახლობლის ნიშნობაში, თამადად იურისტი იყო, მე დიდი ყურადღებით ვუსმენდი მის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, ლამაზად მეტყველებდა, იმელებდა სხვადასხვა ბრძნულ გამოხატვებებს. მე მაშინ დავრჩი იმ შთაბეჭდილებით, რომ იურისტები იყვნენ ასეთი განათლებულები. რომ ნამოვიზარდე აღარც გამხსენებია ეს პროფესია, რადგან მიხვდი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი შეიძლება იყოს განათლებული, თუ მას არ ეზარება შრომა და ნიგნების კითხვა.

ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ. მამა არ მასსოვს, რადგან ის მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა (მაშინ პედაგოგები არ მიჰყავდათ ომში), დედა კი სულ ჩამჩირინებდა ქალისთვის ყველაზე კარგი პროფესია პედაგოგობაა. დედა საკმაოდ კარგი პედაგოგი იყო, რომელიც დაჯილდოებული იყო შრომის ნითელი დროშის ორდენით. სწორედ მან შემაყვარა პედაგოგობა. არაჩვეულებრივი ფიზიკის მასწავლებელი გვყავდა ბატონი რევაზ უტურაძელი, ფიზიკის ტურში ვიღებდით მონაწილეობას და სიგლებითაც გვაჯილდოებდნენ.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს ეს სხვების შესაფასებელია თუ რამდენად კარგი და განათლებული პედაგოგი ვარ.

მეგობრებთან საუბრისას მითქვამს და ახლაც გაგიფორმებ, თუ ჩემში არსებობს თუნდაც ძალიან მცირე კარგი და დადებითი ეს არის დედის და ნიგნების დამსახურება. დედის იმიტომ, რომ ძალიან მაქცირად მზრდიდა, არ მასსოვს მისი მოვლერება, ძალიან მეშინოდა მისი, „შიში შექმნა სიყვარულსა“, მისგან მხოლოდ ვესმოდა: „წაკითხე, ისწავლე, აბა გაკვეთილები იცი, ჩამაბარე“. მან შემაყვარა ნიგნების კითხვა. ოჯახში მშობლებს

კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და ხელი მენყობოდა, თუმცა სკოლის ბიბლიოთეკითაც ვსარგებლობდი. დედა როცა ფიზიკურად შრომობდა მე მასთან ვიყავი და ვუყვებოდი წაკითხული ნიგნების შინაარსს. რომელი ადგილიც განსაკუთრებულად მომწონებოდა აუცილებლად ზეპირად ვსწავლობდი.

თითქმის ყველა საგანში ძალიან კარგი მასწავლებლები გვყავდა. იმისთვის რომ დამყარდეს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კარგი, ჯანსაღი ურთიერთობა ურთიერთსიყვარულია აუცილებელი. ჩვენი ძალიან გიყვარდნენ ჩვენი მასწავლებლები და დიდი პატივისცემით და მოწინებებით ვექცევით მათ.

გაკვეთილებს დიდი ხალისით და სიხარულით ვსწავლობდი და არა მხოლოდ მოვალეობისთვის. ბევრს ვთხოვდი საკუთარ თავს, გაკვეთილის მოყოლისას უბრალოდ ენა რომ ნამბორძიკებოდა და ხუთიანი დავენრა მასწავლებელს, არ ვიყავი კმაყოფილი, რადგან არ მიმარჩნდა ჩემი თავი იმ ხუთიანი ციხისად.

– თქვენს პირად ცხოვრებაზე თუ გვეტყვი რამეს? სიყვარულით შექმნილი ოჯახი?

– მყავს ორი ვაჟიშვილი, დაოჯახებული და ოთხი (ვაჟები) შვილიშვილი. ოჯახი არ შემიქმნია სიყვარულით, მიუხედავად ამისა, ჩვენი ოჯახი დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე.

– თქვენთან გამოგზავნილ ერთ-ერთ საგანზე წერილი ამბობთ, რომ

კომპიუტერის წინააღმდეგი ვარ, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. განა მხოლოდ კომპიუტერზე დამოკიდებული ადამიანის განათლება? ჩვენმა გენიოსმა შოთა რუსთაველმა, რომელიც დიდმა ვაჟა-ფშაველამ ასე შეაფასა: „შოთა – შორს გააბობტა“, ნიგნების დახმარებით არ მიიღო ბრწყინვალე განათლება? განა ჩვენს დიდებულ მეფეს დავით აღმაშენებელს ბრძოლის ველზეც კი ნიგნები არ მიჰქონდა? ანდა მის აღმზრდელსა და მასწავლებელს გიორგი ჭყონდიდელს, ანდა ჩვენს წმინდა ათონელ მამებს გიორგის, ექვთიმეს და იოანეს და რომელი ერთი ჩამოვსვალაო, განათლება და ერუდიცია ეკლდათ? განათლების ფასი რომ იცოდნენ იმიტომ შექმნეს განათლების შესაინაშავი კერები, – გელათის და იყალთოს აკადემიები.

დიხს, ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, ძალიან განათლებულები, მაგრამ ის ერთეულები, რომლებშიც აგრესიაა დაფუძნებული და თავიანთ თანატოლებს სასიკვდილოდ იმეტებენ, მე ის ერთეულები მტკიცია, რომლებიც სწორ გზას ასცდნენ. ჩვენ ხომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, დასაკარგი არავინ გვყავს.

ჩვენ ხომ უძველესი ერი ვართ, არაჩვეულებრივი ტრადიციების მქონე, თუ ჩვენს ტრადიციებს არ დავკარგავთ, რომელიც სამწუხაროდ, სხვათა მიზანით თანდათან იკარგება, ყველაფერი კარგად იქნება.

რაც შეეხება ოქროს მედალოსნებს, ჩემს დროსაც ოქროს და ვერცხლის მედ-

ქუდის მოხდით და თავის დახრით გვესალმებოდნენ, ჩვენც თავდახრისლები ვესალმებოდით და ისეთი პატივისცემა და მონივნება გვექონდა, რომ რამის კედელს გავკროდი. ლექციაზე რომ შემოვიდოდნენ, ეს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, ასე მოგვმართავდნენ: დაბრძანდით მეგობრებო, ნახეთ როგორ საზოგადოებაში და გარემოში გვიხდებოდა სწავლა. მათი საოცარი თავმდაბლობა გადამდებოდა იყო. პირველად რომ შევედი გაკვეთილზე (მე-10 კლასში) მიემართე, დაბრძანდით თქო, ეს გამოყვანა უნივერსიტეტიდან, არ კი გაიცინეს, მაგრამ ღიმილმა გადავარბინათ სახეზე. ეუცხოვით ასეთი მიმართვა. ჩემი აზრით ის რაც პრობლემებია სკოლაში კულტურული აღზრდის თვალსაზრისით, თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.

არ მომწონს, რომ სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა სახელმძღვანელოებია. სკოლა უნდა აირჩიოს, ჩვენ ვირჩევთ კი, ესეც საკითხავია. რატომ არ უნდა იყოს ყველა სკოლაში ერთი და იგივე სახელმძღვანელო, არ მესმის. გარდა ამისა, მასწავლებელმა თვითონ უნდა დაწეროს რა გააკეთა მიუღი თვის განმავლობაში, როგორ იმუშავა, რა ღონისძიებები ჩატარა და უნდა ატვირთოს კომპიუტერში. რომელიც მასწავლებელი დაწერს, რომ ცუდად ვიმუშავეო. მასწავლებელი ჩემი აზრით უშუალოდ გაკვეთილზე უნდა მონაწილეობდეს, მეტყველებს თუ არა გამართული ლიტერატურული ენით, რამ-



ის მოსწავლე, რომელიც ჩემს სიმკაცრეშიც კი სიყვარულს ხედავს. ვცდილობ თითოეული მოსწავლის სახეზე და თვალში ნაწიკითხი მისმინებ თუ არა. არ არის საკმარისი ბავშვი ჩუმად იჯდეს, ის აუცილებლად უნდა გისმინდეს, რადგან მათი ნიჭის და უნარის მიხედვით ახალი მასალა გაკვეთილზე უნდა აითვისოს ზოგმა 90 პროცენტით, ზოგმა 60 პროცენტით, 50 პროცენტით ან 30 პროცენტით, რაც სახლში გაკვეთილების სწრაფად მომზადებაში დაეხმარებათ. როგორც კი შევაჩვენე, რომ ჩუმად ზის, მაგრამ არ მისმენს, ვეუბნები – აბა, რა ვთქვი, გაიმეორე, ვაიმელებ, რომ მომისმინოს.

ყუყვარვარ თუ არა ჩემს აღსაზრდელებს, ეს მათ უნდა კითხობ, მაგრამ გაკვეთილზე პასუხს, – ზოგს ვუყვარვარ და გამოხატავენ კიდევ. არასოდეს დამავინცდებოდა როცა შილდის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა, სრულიად ახალგაზრდად, ერთ გაცონას დაუწერე ორიანი, ადგა და მეუბნება „რამდენი ორიანიც გინდა დამიწერეთ, მე მაინც მიყვარხართო“. დაიბენი, ვერაფერი ვუპასუხე, მაგრამ გამოცდილება რომ მქონოდა, ვეტყვი, სიყვარული საქმით უნდა გამოხატო და კარგად უნდა ისწავლო.

რა თქმა უნდა, არსებობენ ალბათ ისეთებიც, რომლებსაც არ ვუყვარვარ, მაგრამ ეს არ არის ჩემთვის პრობლემა, რადგან ვისთვის რა არის ფასიანი იმაზე დამოკიდებული. ამასთანვე მაცხოვრის 12 მონაწილედ ვიქნა, ოუდა ის კარიოტიპმა, საკუთარი მოძღვარი 30 ვერცხლად გაყიდა და კიდევ აგუმონდეს როცა ყველას უყვარხარ, გიხაროდენ როცა მოგიძულებენ“ და კიდევ „კაცი უმტერო არ ვარგა და არცა მტერმორულო“.

– მალე დაიწყება საზაფხულო არდადეგები და მისაღები გამოცდები უმალეს სასწავლებლებში, რას უსურვებდით და ურჩევდით მათ?

– უცოდინარ კაცს ქვეყანა არ აუშენებია. ქვეყანა უნდა ააშენოს მცოდნე, განათლებულმა, გამარჯვებულმა შრომისმოყვარე ადამიანმა. მცოდნეში ვულისხმობ არა მხოლოდ უმაღლეს განათლებას მიღებულ ადამიანებს, მეცნიერებს, აკადემიკოსებს, არამედ გლეხსაც, მწყემსსაც და ყველა პროფესიის ადამიანს. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამის საილუსტრაციოდ მომიყავს მაგალითი „ოთარანთ ქერივინა“. განათლებულ, განსწავლულ არჩილს ოთარანთ ქერივის გლეხმა, გიორგიმ, ურჩია თუ სად ჯობდა ვენახის გაშენება. კარგი მეზრე-მევენახე, კარგი მწყემსი, რომელმაც იცის რომელი ბატონის დედა რომელია, თავიანთი საქმის ზედმინებებით მცოდნე არიან. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, პური ხომ მეპურემ უნდა გამოაცხოს. თუ ჩვენი პროფესია გვიყვარს, ღრუსულად შევახრებთ ჩვენს და კისრებულ მოვალეობას. აქვე გამახსენდა და არც არასოდეს დამავინცდებია, სანამ ცოცხალი ვარ, თუ როგორ განმარტა ჩემი სტუდენტობის დროს ვითვის ლექციებმა, თუ არის სირცხვილი. როცა რამეც დაამაზებ, გაიხედ-გამოიხედავ, თუ არავინ დაგინახა და დამშვიდებული ნახვალ, ეს არის სირცხვილი. სირცხვილია როცა არავინ დაგინახა და საკუთარი თავის შევარცხება, შენი თავის წინაშე განითილებით. აი ეს სტანდარტები უნდა დავაქვიდროთ.

სრულიად საქართველოს ყველა ახალგაზრდას ვუსურვებ ნარმატებებს, წინსვლას. სამშობლოს ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბებულიყვნენ ერის, მამულის და სარწმუნოების სადიდებლად. მე უზომოდ მიყვარს ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი, ამიტომ ასე მივმართავ მოსწავლეებს: „გიყვარდეთ საქართველო, გიყვარდეთ საქართველო სიცოცხლეზე მეტად“.

– და ბოლოს, თუ იპოვეთ სამართალი?

– სამართალი ვერ ვიპოვე, მაგრამ იმედი მაქვს ვიპოვი. „სამართალი ურმით დადის“, წელია მოდის, ავგინდებდა, მაგრამ მაინც მოვა. იმედინად ვარ.

ესაუბრა  
დალი ტატულიძე



სკოლა დამთავრეთ ოქროს მედალზე. ვიცით, რომ იმ დროისთვის ოქროს მედალის აღება მხოლოდ ნიჭიერთა ხედვრი იყო, რა პარალელს ვაავლებდით მაშინდელ და XXI საუკუნის ოქროს მედალოსანს შორის?

– საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდობა წამოვიდა, თუმცა ქართველებს ნიჭიერება არასოდეს არ აკლდათ. ამას უტყობილებიც აღნიშნავენ. ლადო ალფინოვის „ბრაზილიურ დიალოგებში“ ბრაზილიელი ჟურნალისტი აღნიშნავს, – „თქვენ, ქართველები ისეთ დიდ ადამიანებს შობთ, რომ სარბილად თავიანთ ქვეყნის საზღვრები არ ყოფნით და სხვა ქვეყნის გულელებს ეპატრონებიან“. სამი დამწერლობის შემქმნელი არს, პოლიოფონური სიმღერების და გალობების შემქმნელი ვარ, ქართული ცეკვების და ბრწყინვალე პოეტების, მწერლების დამბადებელი ვარ, კიდევ ერთხელ გაგიმეორებ ნიჭიერება არასოდეს არ აკლდა.

კომპიუტერების დახმარებით ნებისმიერი საინტერესო საკითხი შეუძლიათ მოიძიონ, ანდა კომპიუტერში ნაიკითხონ ის ნიგნები, რომლებზეც ხელი არ მოუწვდებათ. მაგრამ მეორე მხარეც აქვს, ბავშვები მიეჯახებიან კომპიუტერს, ხშირ შემთხვევაში საათობით სხედან და ერთობიან სხვადასხვა თამაშობებით. ვილას ახსოვს ნიგნი ან სწავლა? ილია მარათალი ხომ ბრძანებს: „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო ნიგნებიდან გამოხედვაო“. არავის ეგონოს, რომ მე

ლით ავიღოვდნენ მოსწავლეებს საინფორმაციო ყოფიქვეყისა და წარჩინებული სწავლისათვის და დღესაც ასეა.

– დღეს მოსწავლეებს ყველაწიანი პირობა აქვთ, რომ კარგ, განათლებულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ სკოლაში მაინც არის პრობლემები. თქვენ რომ განათლების მინისტრი იყოთ, რას შეცვლიდით ამ სისტემაში?

– ვერ დავეთანხმები, რომ ყველაწიანი პირობები აქვთ შექმნილი იმისთვის, რომ ისინი განათლებულ და კულტურულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. ბავშვები უმრავლეს შემთხვევაში მშობლების ყურადღებას და სითბოს არიან მოკლებულნი. ისინი მთელი დღის განმავლობაში დაკავებული არიან შრომითი საქმიანობით, რომ შეილებს ეკონომიური პირობები გაუუმჯობესონ, დილით გასულები საღამოს ბრუნდებიან შრომით დალილ-დაქანცულები. ვეღარ აქცევენ შეილებს ჯეროვან ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ფილმი, – ბავშვი მიდის სახლში, დედა არც აქცევს ყურადღებას, იატაკი ხეხვა-წმენდით არის დაკავებული, მშობლის ასეთმა უყურადღებობამ ბავშვი დამნაშავედ აქცია. კულტურულ და განათლებულ ადამიანად რომ ჩამოყალიბდეს, შესაბამისი გარემო პირობებია საჭირო, – ოჯახი, სკოლა, საზოგადოება. უნივერსიტეტში გატარებული წლები მახსენდება. სტუდენტები რომ ვიღვეით, ჩვენი ლექტორები რომ გაივლიდნენ,

დენად დამაჯერებლად, საინტერესოდ, მოსწავლეთათვის გასაგებად გადასცემს ახალ მასალას, ამყარებს თუ არა კავშირს სხვა საგნებთან, როგორია მისი ზოგადი განათლება, როგორ მიმართავს მოსწავლეებს, როგორია მისი მოძრაობაც კი გაკვეთილზე.

ყველაზე დიდ პრობლემად კი ის მიმარჩია, რომ არ უნდა დავაძალოთ ისწავლოს, არ უნდა გაუწყრეთ, არ მიეუთითოთ, არ დაუტოვოთ მის არასწორ ქმედებაზე, თურმე მისი უფლებები ირღვევა. ნუთუ ამის მთქმელები დავით გურამიშვილზე დიდები არიან? „ნუ გენადლებების სწავლაზე, ყრმის ნკუპლის ცემით კვილი“. ის ხომ ჯერ პატარაა, არ ვასწავლობ რა არის კარგი და რა ცუდი? „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“, მივუშვათ ნებაზე, რომ რაც უნდა ის აკეთონ? განა ასე ზრდინენ ჩვენი ღრუსული წინაპრები თავიანთი შვილებს? გავისხნით სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მემკვიდრის აღზრდა, გავისხნით ჩვენი დიდ მეფეები დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეფე რა თავგანწირვით იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ, მათთვის რომ არ ენახებინათ საბრძოლო ხელოვნება, განა ასე უებრო მთლები იქნებოდნენ.

– როგორია დღი ბიპლანი გაკვეთილზე მოსწავლეების მიმართ, თუ უყვარხარ თქვენს აღსაზრდელებს?

– ჩემი აზრით ვარ ზომიერად მკაცრი, მომთხოვნი. თან ვეუბნები გონიერია

# ინფექციურმა დაავადებებმა სეზონურ პიკს მიაღწია

ზაფხულში, როდესაც პატიის ტემპერატურა უმაღლეს ნიშნულზე ადის, ნაწლავური და სხვა ტიპის ინფექციური დაავადებების შემთხვევები პიკს აღწევს. ზაფხულის და არა მარტო ამ სეზონის ერთერთი გავრცელებული დაავადებაა ლეიშმანიოზი, რომლითაც ძირითადად 4 წლამდე ასაკის ბავშვები ავადდებიან.

ეს დაავადება უფროსი ასაკის ადამიანებშიც ვრცელდება და ზოგჯერ ლეტალური შედეგით მთავრდება. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევა ყვარლის მმუნიციპალიტეტშიც დაფიქსირდა და ლეიშმანიოზით ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

იმისათვის, რომ მოსახლეობა გაერკვეს და ზაფხულის ინფექციის დაავადებებისგან თავი დაიცვას, ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს მერაბ სეფაშვილს ვთხოვეთ კითხვებზე პასუხის გაცემა.

**– ბატონო მერაბ, როგორი დაავადებაა ლეიშმანიოზი და რა ინვექსიას?**

– ლეიშმანიოზი – ცხელი ქვეყნების ინფექციური დაავადებაა, გამოწვეული ერთჯერადიანი უმარტივესი – ლეიშმანიების მიერ.

ტომ უნდა მოვარიდოთ ბავშვები დღის ამ პერიოდში გარეთ სეირნობას.

**– რომელი ცხოველია პარაზიტის გამავრცელებელი, პროფილაქტიკის მიზნით რა ღონისძიებები უნდა გატარდეს?**

– ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ცხოველები: ტურები, მელიები, ძაღვები და დაავადებული ადამიანი.

ვისცერალური (ანუ შინაგანი) ლეიშმანიოზისთვის დამახასიათებელია პროგრესირებადი, ხანგრძლივი მიმდინარეობა. ხანგრძლივი ცხელება, ღვიძლის და ელენთის გადიდება, მკვეთრი ლეიკოპენია, ანემია, კანი ძალიან მკრთალია, თუმცა კანი ზოგჯერ უფრო მუქი ხდება (აქედან წარმოდგება მისი ძველი სახელწოდება კალა – აზარი, რაც „შავ ავადმყოფობას“ ნიშნავს).

დაავადება იწყება თანდათანობით, ვლინდება საერთო სისუსტე, ტალღისებური ცხელება, ტემპერატურის მომატება 39°-40°-მდე, ძლიერი ოფლიანობა, ტანზე შემორავილი გამონაყარი, შეიძლება წყლუნივან – ნეკროზული გამონაყარი პირის ღრუში, ავადმყოფის მდგომარეობა პროგრესულად მძიმდება, აღინიშნება წონაში დაკლება



ხანგრძლივი იმუნიტეტი. განმეორებით დაავადება რეგისტრირებულია მხოლოდ 1,7% – ში.

დიაგნოსტიკა შესაძლებელია ნაცხის და მკერდის ძვლის პუნქტატის მიკროსკოპირებით. დაავადების პროფილაქტიკაში უმნიშვნელოვანესია ავადმყოფთა დროული გამოვლენა და მკურნალობა, აგრეთვე გადამტან მწერებთან ბრძოლა – ეს არის ბრძოლა მანანნალა ძაღვებთან, ნაგავსაყრელების და მინაური ცხოველების დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით, ფანჯრების აბადვა.

**– ბოლო წლების სტატისტიკა როგორი ჩვენთან, არის სიკვდილიანობის ფაქტები თუ არა?**

– ყვარლის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების სტატისტიკა ასეთია: 2016 წელი – 4 შემთხვევა, 2017 წელი – 2 შემთხვევა, 2018 წელი – 2 შემთხვევა. ყველა შემთხვევა დამთავრდა სრული განკურნებით, შემთხვევათა უმრავლესობა არის ბავშვებში.

**– კიდევ რა დაავადებების საშიშროება არსებობს ზაფხულის განმავლობაში?**

– ზაფხულის განმავლობაში დამახასიათებელია დიარეით მიმდინარე დაავადებების მატება. ზაფხულის სეზონზე მოდის შემთხვევათა 60% და პიკს აღწევს აგვისტოს თვეში. კვებითი მონამვლა ხშირია, მას ინვექსი დაბინძურებული, უხარისხო და ვარგისიანობის ვადას გადაცილებული კვების პროდუქტები ან კერძები. უმეტეს ნილადა: ბოსტნეულის, ხილის კონსერვები, ნახევარფაბრიკატები, სოკო, ლორი, ძეხვი, ხორცი, რძე და საკონდიტრო ნაწარ-

ნის შედეგად, დაავადების დამახასიათებელი ნიშანია ციებ – ცხელებით მიმდინარე შეტევები, შემცივნება, ძლიერი თავის ტკივილი, სახსრების და კიდურების ტკივილი. მაღალი ტემპერატურა ( 39°-40°), გულისრევა და ღებინება, ტემპერატურის დაცემა, ძლიერი ოფლიანობა ავადმყოფის დამშვიდება, ძილად მივარდნა. აღინიშნება სისხლში ანემია, ღვიძლის და ელენთის გადიდება.

**– როგორ შევვიძლია დავიცვათ თავი?**

– მაღარისგან თავდაცვისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომელიც მიმართულია ადამიანისა და კოლოს შორის ბარიერის წარმოქმნაზე. ესენია შენიბის აბადვა, რეპელენტების (კოლოსაგან თავდაცვის საშუალებები) გამოყენება, რაც წარმოადგენს ჩვეულებრივ რეკომენდირებულ თავდაცვის საშუალებას და დამცავი ტანსაცმლის გამოყენებას, განსაკუთრებით იმ რაიონებში სადაც მაღალია არსიკი მალარიის გავრცელებისა. საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრს შემოაქვს მწერების საწინააღმდეგო სადეზინფექციო საშუალება, რითაც ხდება ცხოველთა სადგომების დამუშავება.

**– ქვეწარმავლების მომრავლების გამო მოსახლეობა შეშფოთებულია. არსებობს რაიმე საშუალება მათი მოგერიების ან ლიკვიდაციის მიზნით?**

– ზაფხულის პერიოდი განსაკუთრებით საშიშარია ქვეწარმავლების მომრავლების გამო. რაიმე საშუალება მათი მოგერიების ან ლიკვიდაციისთვის არ არსებობს.



**– რა ფორმის ლეიშმანიოზი არსებობს?**

– არსებობს ლეიშმანიოზის სამი ფორმა ა) ვისცერული ლეიშმანიოზი ანუ კალა-აზარი, ბ) კანის ლეიშმანიოზი, გ) აპერიკული ლეიშმანიოზი.

ლეიშმანიოზი მწვავე ან ქრონიკული პარაზიტული დაავადებაა, რომელიც ადამიანს გადაეცემა დაავადებული ცხოველისაგან მოსკიტების (ფლემბოტომუსების) მეშვეობით. მოსკიტები სისხლისმწოველი მწერები არიან, რომლებიც ძირითადად ბინადრობენ სუბტროპიკულ და ტროპიკულ ქვეყნებში მშრალი კლიმატით. ისინი ბინადრობენ ნაგავსაყრელებზე, მღრღნელების სოროებში, იატაკქვეშა სივრცეებში, მანანნალა ძაღვებში. ზრდასრული ფლემბოტომუსის სიგრძე 1,3 – 1,5 მილიმეტრია.

**– როგორ უნდა ავიცილოთ ეს დაავადება, ან მის წინააღმდეგ როგორ ვიბრძოლოთ?**

– ჩვენში გავრცელებულია კანის და ვისცერული ლეიშმანიოზი. ორივე ფორმას ახასიათებს ბუნებრივი კეროვნება, ენდემურობა, ტრანსმისიურობა და მკვეთრად გამოხატული სეზონურობა. დაავადება რეგისტრირდება წლის ცხელ სეზონზე, პიკი აღინიშნება ივლის-სექტემბერში. თუმცა იმის გამო, რომ ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3 კვირიდან 8 – 12 თვემდე, დაავადება შესაძლებელია განვითარდეს შემოდგომა – ზამთარში და გაზაფხულის თვეებშიც. ადამიანისადმი აგრესიულობით მოსკიტები საღამოს საათებში ( მზის ჩასვლამდე და მას შემდეგ პირველ საათებში ) გამოიჩნევიან. ამი-

შესაძლებელია ცხვირიდან და სხვა ღორწოვანიდან სისხლდენები, აგრეთვე სისხლჩაქცევები კანზე. თმები ხდება მტვრევადი, კანი მშრალი მომწვანო მოსერიო ფერის.

**– თუ დროზე არ ჩაიტარა ადამიანმა მკურნალობა, როგორი შედეგით შეიძლება დამთავრდეს?**

– მკურნალობა – აუცილებლად სტაციონარული! პროგნოზი მკურნალობის გარეშე უმძიმესია და ლეტალობა 98% – ია. დროული მკურნალობის შემთხვევაში კი კეთილსაიმედოა.

კანის ლეიშმანიოზი მიმდინარეობს ანთროპოზური და ზოონოზური ტიპით. ანთროპოზური, ანუ მშრალი ტიპისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი ინკუბაციური პერიოდი ( 3-8 თვე ) . კანზე გამოწვევის შეჭრის ადგილზე ვითარდება შემადგენლობა, რომელიც ნელა იზრდება და 3-6 თვის შემდეგ იფარება ქერცლით, რომლის ქვეშ აღინიშნება წყლული. შეხორცება მიმდინარეობს ნელა და მთავრდება 1-2 წლის შემდეგ.

კანის ლეიშმანიოზის ზოონოზური ანუ ( სველი) ტიპისთვის დამახასიათებელია ინკუბაციური პერიოდი 3 კვირა, აქაც ჩნდება ნაკუნზე შემადგენლობა, იგი სწრაფად იზრდება, ცენტრში აღინიშნება ნეკროზი, ირგვლივ ქსოვილების ინფილტრაციით და შეშუპებით. სამი თვის შემდეგ წყლულის ძირი სუფთადდება, ხოლო 5 თვის შემდეგ მთავრდება შეხორცებით. მკურნალობა – მედიკამენტოზური მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

გადატანილი დაავადების შემდეგ ყალიბდება



მი. მონამვლის შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე დანაყრებისას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანჰიგიენური ღონისძიებების გატარებას და მასმელი წყლის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. კვების ობიექტებს მონესრიგებული უნდა ჰქონდეთ ინვენტარი და ჭურჭლის სამრეცხაო სადეზინფექციო განყოფილება. დაცული უნდა იყოს პროდუქტების შენახვის ტემპერატურული რეჟიმი. მნიშვნელოვანია კვებითი ტოქსიკოინფექციების დროს სათანადო ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რათა მოხდეს გამოწვევის იდენტიფიცირება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწლავთა ინფექციების უმეტესი ნაწილი რჩება კვლევის გარეშე და შესაბამისად რეგისტრირდება როგორც სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დირეა ( ანუ დაუდგენელი ეტიოლოგიის დირეა).

**– მალარიით დაავადებების შემთხვევები თუ არის?**

– რაც შეეხება მალარიით ავადობას მისი ლიკვიდაციის კომპლექსური ღონისძიებები 1921 წელს დაიწყო და 1970 წელს მიღწეულ იქნა ადგილობრივი შემთხვევების სრული ლიკვიდაცია. მაგრამ შენარჩუნდა გადამტანი კოლო ანოფელისი და 1996 წელს კვლავ იჩინა თავი დაავადებამ. ამჟამად საქართველოში მალარიით ავადობის ადგილობრივი შემთხვევები აღარ არსებობს. მალარია პარაზიტული დაავადებაა, რომელიც დაავადებული ადამიანიდან ჯანმრთელ ადამიანს გადაეცემა კოლო ანოფელისის კბე-


**– თუ ყოფილა დაკბენის შემთხვევები**  
– შხამიანი ქვეწარმავლით დაკბენის შემთხვევა ჩვენს რაიონში არ დაფიქსირებულა.

**– უპირველესად რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა სანამ სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ?**

– სამედიცინო დახმარების აღმოჩენამდე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნაკბენი ჭრილობიდან ხელით გამოწმუნოთ სისხლი და მასთან ერთად შხამი. ამის შემდეგ ნაკბენი უნდა გამოწმუნოთ პირით (თუ ეს შესაძლებელია) და გადავაფურთხოთ ( პირის ღრუს ლორწოვანი არ უნდა იყოს დაზიანებული ). დროებით, სანამ ჭრილობას გამოწმუნებდით, შეიძლება ნაკბენი ადგილის ზემოთ – კიდურზე შემოვუჭიროთ ლაბტი, მაგრამ მცირე ხნით. დაკბენილი ადამიანი უნდა დაწვეს, შეწყვიტოს ყოველგვარი აქტიურობა, განსაკუთრებით კი დაკბენილი კიდურისა და სასწრაფოდ გადავიყვანოთ საავადმყოფოში.

**– დაკბენის შემთხვევაში როგორ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართოს ყვარლის მუნიციპალიტეტში?**

– დაკბენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ყვარლის საავადმყოფოს, რომელიც ჩვენს მიერ მუდმივად მარაგდება გველის შხამის საწინააღმდეგო მონო და პოლივალენტური ვაქცინით.



# როგორ უნდა მოიქცეთ, როცა გველს შეხვდებით

გველთან შეხვედრა, თუნდაც იგი უწყინარი სახეობა აღმოჩნდეს, ბევრი ადამიანისთვის სასიამოვნო არაა. რა შეიძლება ვთქვათ შხამიან გველებზე, როდესაც არასწორმა ქმედებამ შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემებთან ან ლეტალურამდე მიგვიყვანოს?

მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეს შხამიანი გველის თავისი წარმომადგენელი ჰყავს. კარგი იქნება, თუ თეორიულად მათ გავიცნობთ. თუმცა, არსებობს საერთო განმარტებითი ნიშნებიც, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია საშიში გველის ამოცნობა. გადაწყვიტეთ გაგაცნოთ ეს ნიშნები და ინფორმაცია მათი ქცევის შესახებ, რათა საშიში შეხვედრა არასოდეს მოხდეს, ან მშვიდად ჩაიაროს იმგვარად, რომ ჯანმრთელობას საშიშროება არ შეექმნას.

რომლის სახის ნახატი ჩვეულებრივ შხამიანობის მანიშნებელია, განსაკუთრებით თუ გველი სამფრეა.

შხამიანი გველები ჩვეულებრივ წყლის ზედაპირზე დაცურავენ მაშინ, როდესაც უწყინარი გველების სხეული წყალქვეშ დაცურავს.

### უსაფრთხოების ზომები

გაკრიჭეთ მალალი ბალახები კერძო ეზოებში და გაასუფთავეთ ტრეტებისგან ტერიტორია.

არ მისცეთ საშუალება მღრღნელების გამრავლებას, ისინი იზიდავენ გველებს.

სახლისგან დაშორებით ტერიტორიაზე ნიშადურის მოფრქვევა – გველებს ძალიან არ უყვართ ნიშადურის სუნი, თუმცა, ეს ნივთიერება მათ სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის.

ტყეში სეირნობისას დახურული ფეხსაცმელი შეარჩიეთ.

ალბინისტები ძალიან რისკიან, რადგან გველებს ქვეშ სურს უყვართ დამალვა. არ ღირს ქვეშის ზედაპირზე შემოწმების გარეშე ფეხის დადგმა.

გველები ჩვეულებრივ არ ესხმიან, ასეთია:

### როგორ გავარჩიოთ შხამიანი გველი უწყინარი გველისგან?

პერეტოლოგები უსაფრთხო და შხამიან გველს შორის ძირითად ნიშნებს გამოყოფენ, თუმცა, მსოფლიოში იმდენი გველია, რომ არსებობს გამონაკლისები. მიუხედავად ამისა, გველის გარჩევის ძირითადი ნიშნები, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ, ასეთია:

თვალებით გარჩევა – უწყინარ გველებს ჩვეულებრივ, მრგვალი გუგები აქვთ, შხამიანებს – ელოფსის მოგრძო ფორმის. ყველაზე ცნობილი გამონაკლისებია: შხამიანი მამბა, კობრა და ტაიპანი, რომელთაც მრგვალი გუგები აქვთ.

საინტერესოა, რომ ზოგ უწყინარ გველს, საშიშროების შემთხვევაში, თვალის გუგის ფორმის შეცვლა შეუძლია.



ან თავს პირველები. მხოლოდ მაშინ, როდესაც საშიშროებას გრძნობენ, მაგალითად თუ თქვენ ის შემთხვევით შეაშინეთ.

განსაკუთრებით აგრესიულიები ისინი ცხელ ამინდში და ქორწინების პერიოდში ხდებიან (იენის-იელისი). შემთხვეული გველი მუტ შხამს გამოყოფს.

როდესაც გაუკვლავ ადგილებში დადიხართ, განსაკუთრებით ნესტიან, ჭაობიან ადგილებში, შეეცადეთ მალალ ბალახებში არ იაროთ, ან შეამოწმეთ მაინც, გამოინვიეთ ხმაური, ბალახები ჯოხით შეარჩიეთ.

ბუნებაში ღამის გატარების დროს გახსოვდეთ, რომ სინათლე იზიდავს გველებს. დილით კი ყოველთვის შეამოწმეთ ტანსაცმელი – ადამიანის სუნი ასევე იზიდავს მათ.

არ გამოეკიდოთ გველებს ცნობის-მოყვარეობის გამო, ამან შეიძლება თავდასხმის პროვოცირება გამოიწვიოს.

# „ქალიან იშვიათად სჭირდება ბავშვს ნამალი... ბევრი პრობლემა მშობლის შეცდომის გამო“

პედიატრების შემდეგ ყველაზე ხშირად მშობლები ბავშვთა ნევროლოგებს მიმართავენ. მიზეზი შეიძლება უამრავი იყოს, რადგან ყველაზე ხშირად მშობლები სწორედ ნევროლოგიურ პრობლემებს აბრალებენ ბავშვის მიუღებელ ქცევას. ცნობილი ნევროლოგი ბაკურ კოტეტიშვილი mshoblebi.ge-ს კითხვებს პასუხობს.

– დღეს ყველა მშობელი ცდილობს, ბავშვი სტრესისგან დაიცვას. თუმცა ბოლომდე ეს შეუძლებელია. შეიძლება, რომ სტრესი გახდეს რამდენიმე წრეწვლი პრობლემის ან პრობლემის მიზეზი?

– სტრესი ადაპტაციური ფუნქციონირება და ამის გარეშე ერთი წამი ვერ იცხოვრებ ადამიანი! როგორ შეიძლება სტრესისგან დაიცვა ადამიანი! სტრესი ცუდი სიტყვა არ არის და საერთოდ, ვინც ეს ტერმინი შემოიტანა, ამბობს, რომ, თუ სტრესი არ გაქვს, ჩათვალეთ, რომ მკვდარი ბრძანდებით... ცოცხალ ადამიანს არ შეიძლება სტრესი არ ჰქონდეს ნებისმიერ ასაკში.

– თუ გახსენდებათ პრაქტიკაში მაგალითი, როცა მშობლის შეცდომის გამო შეეცმნა ბავშვს პრობლემა? რომელია ხშირად გავრცელებული შეცდომები?

– ძირითადად სულ მშობლების შეცდომის გამო ხდება ყველაფერი, ანუ ბავშვების მიმართ აბსოლუტურად არასწორი ქცევის გამო. არსებობს, რასაკვირველია, თანდაყოლილი პათოლოგიები, მძიმე დაავადებები, მაგრამ ესენი იშვიათია. რაც ჩვენთან გავრცელებულია, ეს არის არასწორი მოქცევა ბავშვებთან, ზუნოლა ძირითადად! კვებით, ჩაცმით, ტემპერატურული, ყველაფრის აკრძალვა... ყველაფერი იწყება – არ შეიძლება... თქვენ მოგწონთ, როცა არ შეიძლება გვეუნებთ ვინმე? – ბავშვს კი იმიტომ უუნებობთ, რომ არ იცით, რა უნდა უთხრათ, აგრესიული ქცევა ყველაზე ადვილი გამოსავალია. აგრესია არის გან-

ვითარების ყველაზე დაბალი საფეხური! ბავშვს არ მოსწონს ყველაფრის აკრძალვა, გაბროტებებით და რადგან გაბროტებებით, მას უკვე ჯიუტი შვილია.

სინამდვილეში ზუნოლა აქედან იწყება! ბავშვი ყოველთვის ჯანსაღია! ყველა მონარდი იტყუება, ბავშვი კი არასოდეს!

– შეგიძლიათ ჩამოგივითვალოთ სიმპტომები, რომლებსაც მშობლები დროულად არ აქცევენ ყურადღებას და შემდეგ რთული სამკურნალო ხდება?

– სიმპტომები უამრავია და შეუძლებელია მათი ჩამოთვლა. მთავარი, რასაც ყურადღება უნდა მიექცინოთ მშობლებმა, ეს არის ბავშვის ქცევა!

ქცევა უნდა იყოს შესაბამისი მის ასაკობრივ მოთხოვნებებთან. თუ ხედავს, რომ ბავშვის ქცევაში, ყოფაში, არსებობაში რაღაც შეუსაბამოა, მაშინ უნდა აჩვენოს სპეციალისტს...

– დედების ჯგუფებში ხშირად ნახავთ პოსტებს შეკითხვით, რას აძლევთ ბავშვს, კარგად რომ დაეძინოს? რამდენად მართებულია ექიმის გარეშე უწყინარ მცენარეულ საშუალებებზე დაფუძნებული დამამშვიდებლების მიცემა?

– აბსოლუტურად არასწორია! ეგ არის უბედურება, რომ სოციალური ქსელები გახდა საჭიროა სისტემა. ვისაც რა უნდა, იმ რჩევას იძლევა, იმის მიუხედავად, ამის კვალიფიკაცია აქვს თუ არა, ძალუქს თუ არა საერთოდ პასუხის გაცემა. მცენარეული – მცენარეული, ესეც მორიგი ტყულია. ოპოუმ კეთდება ყაყაოსგან, იცით, რომ ყაყაო მცენარეა და ოპოუმი კიდევ ნარკოტიკი. მკვდარი ფორმაა, თითქოს ბალახი უწყინარია. ზოგიერთი ბალახი ცხოველს კლავს! აუცილებლად ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო და როგორ შეიძლება თვითნებურად მედიკამენტის ხმარება?! ციფლურ ქვეყნებში ბავშვთა მედიკამენტები უკიდურესად მცირე რაოდენობით გამოდის.



ქალიან იშვიათად სჭირდება ბავშვს ნამალი. არასწორი ინფორმაციისა და არასწორი განათლების გამო მარტივად ხდება ჩვენში ეგრეთწოდებული ნამლების ყლაპვა. ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებთან სწორად ურთიერთონ, მოუსწონონ და გააკვირონ, რატომ წუხს ბავშვი, დაუფრებლად მედიკამენტს აძლევენ, რომელიც მეზობელმა უწია.

ვიმეორებ, რომ მშობლებმა მიაქციონ ბავშვის ქცევას ყურადღება! ქცევაში რომ პრობლემა ჩნდება, მაშინ სჭირდება ბავშვს სპეციალისტის დახმარება. სასწრაფო რომ დავდეთ, მშობელი უფრო მეტს აშავებს, ვიდრე ბავშვი.

– მშობლებისგან ხშირად გავივით ასეთ ფრაზასაც – ჯანმრთელია, უზრუნველ მტირალა. ზოგადად მტირალა ბავშვები ითვლება რომ ნევროლოგის დახმარებას საჭიროებენ?

